



## გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით  
სარჩელის წარმოებაში მიღების, საქმეში მესამე პირების ჩაბმის, საქმეზე  
მტკიცებულებათა გამოთხოვის და მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ

6 ნოემბერი, 2020 წელი

ქ. გორი

გორის რაიონული სასამართლო  
მოსამართლე ნინო გერგაული

მოსარჩელები - საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა -  
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“, ანა ჯებისაშვილი -  
წარმომადგენელი - თამარ თედლიაშვილი

მოპასუხე - №32 გორის საოლქო საარჩევნო კომისია

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის  
ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი  
აქტის გამოცემის დავალება

განხილვის ფორმა - სასამართლომ განიხილა სასარჩელო განცხადების სასამართლოს  
წარმოებაში მიღების საკითხი და

### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2020 წლის 6 ნოემბერს გორის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მომართა ანა  
ჯებისაშვილმა და საარჩევნო ბლოკის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა -  
გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია“-ს წარმომადგენელმა თამარ  
თედლიაშვილმა, მოპასუხე №32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის მიმართ - N20/2020  
განკარგულების ბათილად ცნობის და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-  
სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას, კერძოდ N579, 580, 581, 582, 583  
საჩივრების განხილვის შესახებ.

სასამართლომ განიხილა სასარჩელო განცხადების სასამართლოს წარმოებაში  
მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიაჩნია, რომ სარჩელი  
პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე და 178-ე მუხლების  
მოთხოვნებს, რის გამოც მიღებულ უნდა იქნეს წარმოებაში.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის საფუძველზე სარჩელი დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი, რამდენადაც სარჩელის მიღების ეტაპზე მისი დაუშვებლად ცნობის საფუძველი არ არსებობს.

1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

მითითებული ნორმატიული აქტის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. ამ ნორმას პროცესუალურად ავსებს მე-20 მუხლი, რომლითაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინოს მას საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე განჩინების ჩაბარებიდან 01 საათის ვადაში მოპასუხე მხარეს უნდა დაევალოს მოსარჩელის მოთხოვნასთან მიმართებაში წერილობითი ინფორმაციისა (შესაგებელი) და ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლების წარმოდგენა.

2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

ამავე კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სასამართლოს მოთხოვნით წარუდგინოს მას საქმისათვის და გადაწყვეტილებისათვის აუცილებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე დავის არსებითად გადაწყვეტის მიზნით N32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა დაევალოს წარმოადგინოს გასაჩივრებულ აქტებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალური თვითობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის თანახმად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ N32 გორის

საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ადგილი ჰქონდა დარღვევას. ამასთან, შემაჯამებელი ოქმის და ცესკოს ვებგვერდის მიხედვით ირკვევა, რომ არჩევნებში მონაწილედნენ შემდეგი პირები: (პარტია) „თეთრები“; „ბაქრამე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“; ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა; „დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ“, „მომავალი საქართველო“; „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“; „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“; „გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია“; „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“; „მშრომელთა სოციალისტური პარტია“; „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“; „რეფორმერი“; „ბექან გუნავა - ქართული არჩევანი“; „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“; „ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო“; „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“; მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“; „საქართველო“; „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“; „ახალი ძალა“; „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“; „თავისუფალი დემოკრატები“; ევა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“; ბლოკი „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“; „ქართული ფესვები“; „შეცვალე საქართველო“; თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა; „სახალხო პარტია“; „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ)“; „სოციალური სამართლიანობისათვის“; „გირჩი“; ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“; რეფორმატორები; „ზვიადის გზა“ (დმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის); „ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი - ქართული იდეა“; „ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა“; „გია ჟორჟოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“; „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“; „არჩევანი სამშობლოსათვის“; „ჯონდო ბადათურია - ქართული დასი“; „პროგრესული საქართველო“; „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“; „სერგო ჯავახიძე - ევროატლანტიკური ვექტორი“; „ტრადიციონალისტები“; „ანა რეხვიაშვილი - სახალხო მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატები“; „ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა“; „ლელო - მამუკა ხაზარაძე“; მამულიშვილთა ორდენი „სამშობლო“; „საქართველოს განვითარების პარტია“; ლევან თარხნიშვილი, ბადრი ბასიშვილი, კობა მაზანაშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი, ემზარ საბანაძე, იოსები ვარდანაძე, ნანა აღორძინება, მარიამი ხორგუაშვილი, ზაზა მეზვრიშვილი, ბესიკ ბოგველი, გიორგი ხოჯევანიშვილი, ალექსანდრე ვაშაყმაძე, პაპუნა კობერიძე.

შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული გარემოება მიუთითებს მასზედ, რომ გორის N32 გორის საოლქო საარჩევნო კომისია და საარჩევნო სუბიექტები შესაძლოა იყვნენ პროცესის შედეგით დაინტერესებულები, შეიცვალოს ან გაუქმდეს მათი უფლებები. გამომდინარე აქედან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ არსებობს მათი განსახილველ საქმეში მესამე პირად ჩაბმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

აღნიშნულის გარდა, საქმის მასალების გაცნობის შედეგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე მომზადებულია არსებითად განსახილველად და უნდა დაინიშნოს მთავარი სხდომა 2020 წლის 7 ნოემბერს 11:00 საათზე.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-16, 22-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე, 178-ე, 207-ე, 284-ე, 285-ე, 445-ე, 448-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

1. საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია“-ს სარჩელი მიღებულ იქნეს წარმოებაში;
2. სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოს მოპასუხე მხარეს;
3. წინამდებარე განჩინების ჩაბარებიდან 1 საათის ვადაში მოპასუხე მხარეს დაევალოს მოსარჩელის მოთხოვნასთან მიმართებაში წერილობითი ინფორმაციისა (შესაგებელი) და სრულყოფილი სახით ადმინისტრაციული წარმოების მასალების, მათ შორის, ჩანაწერთა წიგნის, N579, N580, N581, N582 და N583 საჩივრების და N32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმის ასლების წარმოდგენა;
4. საქმეში ასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით მესამე პირად ჩაბმულ იქნეს (პარტია) „თეთრები“; „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“; ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა; „დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ“, „მომავალი საქართველო“; „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“; „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“; „გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია“; „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“; „მშრომელთა სოციალისტური პარტია“; „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“; „რეფორმერი“; „ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი“; „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“; „ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო“; „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“; მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“; „საქართველო“; „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“; „ახალი ძალა“; „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“; „თავისუფალი დემოკრატები“; ეკა ბესელია - კ.პ. „სამართლიანობისთვის“; ბლოკი „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“; „ქართული ფესვები“; „შეცვალე საქართველო“; თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა; „სახალხო პარტია“; „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ)“; „სოციალური სამართლიანობისათვის“; „გირჩი“; ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“; რეფორმატორები; „ზვიადის გზა“ (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის); „ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი - ქართული იდეა“; „ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა“; „გია ჟორჟოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“; „ზვიად ძიმიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“; „არჩევანი სამშობლოსათვის“; „ჯონდო ბაღათურია - ქართული დასი“; „პროგრესული საქართველო“; „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“; „სერგო ჯავახიძე - ევროატლანტიკური ვექტორი“; „ტრადიციონალისტები“; „ანა რეზვიაშვილი - სახალხო მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატები“; „ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა“; „ლელი - მამუკა ხაზარაძე“; მამულიშვილთა ორდენი

“სამშობლო”; „საქართველოს განვითარების პარტია“; ლევან თარხნიშვილი, ბადრი ბასიშვილი, კობა მაზანაშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი, ემზარ საბანაძე, იოსები ვარდანიძე, ნანა აღორძინება, მარიამი ხორგუაშვილი, ზაზა მეზერიშვილი, ბესიკ ბოგველი, გიორგი ხოჯევიანიშვილი, ალექსანდრე ვაშაყმაძე, პაპუნა კობერიძე.

5.მესამე პირებს უფლება აქვთ გამოცხადდნენ სასამართლოში და გაეცნონ საქმის მასალებს, ასევე, ჩაიბარონ მასალების ასლები;

6.სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნოს 2020 წლის 7 ნოემბერს, 11:00 საათზე, გორის რაიონულ სასამართლოში;

7.განჩინება მესამე პირად ჩაბმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად

მოსამართლე:



ნინო გერგაული